

**ექთნის თანაშემწე 090551
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა:

საექთნო საქმე მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს. ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ. მისი საქმიანობა მოიცავს: პაციენტებზე ზრუნვას; ფიზიკური ან ფსიქიკური დაავადებების მქონე პირების მოვლას; უნარშეზღუდულ და სარეაბილიტაციო დახმარების საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვას; ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფებისათვის ტკივილის მოხსნას და მდგომარეობის შემსუბუქებას; დაავადების პრევენციას ჯანმრთელ მოსახლეობაში; მომსახურების აღმოჩენასა და სამედიცინო დახმარების კოორდინაციას.

II. დასაქმების სფერო

მოსავლელი პირის ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) და დაავადების თავისებურებათა გათვალისწინებით, მე-2 საფეხურის ექთნის თანაშემწე შეიძლება დასაქმდეს: სტაციონარში; ბინის პირობებში; მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს.

მე-3 საფეხურის ექთნის თანაშემწის დასაქმების ადგილებია: ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულება (მოხუცთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები); ბინაზე მოვლის სამსახური, ძიძა; სტაციონარი, ჰოსპისი.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ექთნის თანაშემწის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი (მეორე და მესამე საფეხურები). თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, 40%– თეორიულ სწავლებას. ენიჭება ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, 40%– თეორიულ სწავლებას. ენიჭება ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცნობს: მოვლის მეთოდებს მოსავლელი პირის ინდივიდუალურ (ასაკობრივი, რელიგიური, სოციალური ფსიქოლოგიური და ა.შ.) და დაავადების თავისებურებათა გათვალისწინებით; პაციენტის კვების პრინციპებს; ფლობს ბიოლოგიური მეცნიერების ზოგად საფუძვლებს; შეუძლია რაციონალურ რიცხვებზე მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება.</p>
-------------------------------------	--	--

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.	უშუალო ხელმძღვანელობით შეუძლია: პაციენტის კვება; პაციენტის მოვლა ფიზიოლოგიური თუ უნებლიე შარდვისა და დეფეკაციის დროს; მწოლიარე ადამიანისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა; საწოლის მოწესრიგება; მწოლიარე ადამიანისათვის თეთრეულის გამოცვლა; ასეპტიკისა და ანტისეპტიკის დაცვა.
დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.	შეუძლია ექთნის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში; შეუძლია ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.	შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან; სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება; მარტივი ტექსტების გაგება უცხო ენაზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს გამოყენების დონეზე.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.	შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა. შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობითა და რჩევების გატვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	იცნობს და იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; სანიტარიულ ნორმებს; პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი.

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის: ურთიერთობის ფსიქოლოგია; საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას; ფლობს ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლებს; შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.	შეუძლია: მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში; დეზინფექციის ჩატარება; სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; ინექცია; საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან.

<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.</p>	<p>შეუძლია: პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში გარკვეულწილად დამოუკიდებლად გააკეთოს დასკვნა და მიმართოს პრობლემის გადაჭრის გზებს; ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	<p>შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება; ურთიერთობის წარმართვა პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან; შეუძლია მარტივი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.</p>	<p>შეუძლია მითითებული წყაროს მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება. აცნობიერებს შემდგომი სწავლის შესაძლებლობას და იღებს გადაწყვეტილებას სხვათა დახმარებით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად; იცავს სანიტარიულ ნორმებს; შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ და არ განახორციელებს მასზე ნეგატიურ ზემოქმედებას; პაციენტის მიმართ არის კეთილგანწყობილი.</p>